საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/243 « 23 » დეკემბერი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

ვ. მშვენიერაძის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

„მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის ინიცირების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 9 დეკემბრის №1/221 განკარგულებით ინიცირებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოსამართლის დანიშვნის საკითხი. აღნიშნულ პალატაში მოსამართლის 51 საშტატო ერთეულია, ხოლო უფლებამოსილებას 50 მოსამართლე ახორციელებს.

გამოცხადებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 4 მოსამართლის, მათ შორის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე ვასილ მშვენიერაძის განაცხადი.

ვასილ მშვენიერაძეს აქვს მოსამართლედ მუშაობის 12-წლიანი გამოცდილება. იგი სხვადასხვა დროს იყო საგარეჯოს რაიონული, გორის რაიონული, მცხეთის რაიონული, თბილისის საქალაქო და თბილისის სააპელაციო სასამართლოების მოსამართლე. ამჟამად, იგი უფლებამოსილებას ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში ახორციელებს. მისი სამოსამართლო სტაჟისა და გამოცდილების გათვალისწინებით ვასილ მშვენიერაძე შეძლებს კვლავ წარმატებით განახორციელოს უფლებამოსილება თბილისის საქალაქო სასამართლოში. ამასთან, ვ. მშვენიერაძეს აქვს საცხოვრებელი სახლი ქ. თბილისში, რაც არ გამოიწვევს დამატებითი მატერიალური რესურსის ხარჯვას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, ვასილ მშვენიერაძე გათავისუფლდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობიდან და თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში დაინიშნოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ, 2020 წლის 28 დეკემბრიდან.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი